

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

შპს „თემო“-ს

პარტნიორებს და ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „თემო“-ს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო წლის თანდართული ფინანსური ანგარიშგების (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგების და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების) აუდიტი.

ჩვენის აზრით, გარდა იმ ეფექტისა, რაც შესაძლოა ფინანსურ ანგარიშგებაზე ჰქონოდა საკითხებს, რომლებიც განხილულია „პირობითი მოსაზრების საფუძველის“ აბზაცში, შპს „თემო“-ს მიერ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, სრული შემოსავლის ანგარიშგება, ფულადი ნაკადების ანგარიშგება და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება) ყველა მნიშვნელოვანი ასპექტების გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს აუდიტირებული ობიექტის საერთო ფინანსურ მდგომარეობას მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურით მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოაღნიშნული ანგარიშის ნაშთების არსებობასთან და სისწორესთან დაკავშირებით. ფინანსურ ანგარიშგებაში მარაგები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 14033 ლარით;

ჩვენ არ დავსწრებივართ ძირითადი საშუალებების (გარდა უძრავი ქონებისა) ინვენტარიზაციას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურით მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოაღნიშნული ანგარიშის ნაშთების არსებობასთან და სისწორესთან დაკავშირებით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები, გარდა უძრავი ქონებისა, 2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით წარმოდგენილია 881163 ლარით;

დამკვეთის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მყიდველებთან და შემკვეთებთან შედარების აქტები და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურით მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოაღნიშნული ანგარიშის ნაშთების არსებობასთან და სისწორესთან დაკავშირებით. 2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოდგენილია 183592 ლარით;

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ საწარმოსგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია, რომელიც მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის, საწარმოს საქმიანობის მიმოხილვას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მმართველობის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს) პასუხისმგებელია საწარმოს ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს საწარმოს შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და საჭიროების შემთხვევაში წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს საწარმოს ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ საწარმოს არ აქვს სხვა რეალური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ საწარმოს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა;
- ვეცნობით საწარმოს კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება საწარმოს შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას;
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის

მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში საწარმოს მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ საწარმოს ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე;

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე. მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს აგრეთვე ვაცნობებთ, რომ ჩვენ ვიცავდით პროფესიული ეთიკის იმ მოთხოვნებს რომლებიც ეხება დამოუკიდებლობას და აგრეთვე იმას, რომ ჩვენ მათ უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია ყველა ურთიერთობის, და იმ სხვა საკითხების შესახებ, რომლებსაც გონივრულობის ფარგლებში შესაძლოა გავლენა ქონდეთ ჩვენს დამოუკიდებლობაზე და სადაც შესაფერისია, იმ ზომების შესახებ, რომლებსაც მივმართავთ დამოუკიდებლობის დასაცავად. მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან განხილული საკითხებიდან ჩვენ გამოვყოფთ საკითხებს, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების მიმდინარე პერიოდის აუდიტისას იყვნენ ყველაზე მნიშვნელოვანნი და ამდენად, წარმოადგენენ აუდიტის მნიშვნელოვან საკითხებს. ამ საკითხებს აღწერთ აუდიტორულ დასკვნაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი ან რეგულაცია გვიკრძალავს ასეთი საკითხების გასაჯაროებას, ან განსაკუთრებით იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ჩვენ მივიჩნევთ, რომ საკითხი არ უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნაში, რადგან ამ ინფორმაციის გახსნის უარყოფითი შედეგები სავარაუდოდ გადააჭარბებს იმ სარგებელს, რაც ექნებოდა ამ ინფორმაციის წარდგენას საჯარო ინტერესებისათვის.

შპს „ექსპერტ აუდიტის“ ს/ნ 245523214

სახელით გარიგების პარტნიორი

დავით შარაშიძე



აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში
რეგისტრაციისნომერი № SARAS-A-701134

ქ. ბათუმი, 2024 წლის 12 დეკემბერი

შპს თემო
(ს.კ.: 448396316)

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

2024

შპს თემო (ს.კ.: 448396316)

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	8-16
1. ზოგადი ინფორმაცია.....	8
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	8
3. სააღრიცხვო პოლიტიკა	9
4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები	12
5. ამონაგები	13
6. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	13
7. სხვა შემოსავალი	13
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14
9. ძირითადი საშუალებები	15
10. მარაგი.....	16
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	17
13. სხვა მიმდინარე აქტივები	17
14. საწესდებო კაპიტალი.....	17
15. სასესხო ვალდებულებები.....	17
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	18
18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	18
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	18

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს ბათუმი პანორამა ვილას ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობის სახელით:

ოთარ თედორაძე

დირექტორი

2024 წლის 12 დეკემბერი

ბათუმი, საქართველო

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები ძირითადი საქმიანობიდან	5	2,473,555	2,300,147
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან			-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(107,585)	-
საოპერაციო მოგება		2,365,970	2,300,147
სხვა შემოსავლები	6	2,742	-
ცვეთა და ამორტიზაცია		(145,082)	(109,614)
შრომის ანაზღაურება		(447,596)	(246,430)
ადმინისტრაციული ხარჯები		-	-
სხვა ხარჯი	7	(1,496,111)	(1,696,142)
ფინანსური ხარჯები	8	(23,830)	(20,750)
მოგება ზარალი დაბეგვრამდე		256,093	227,211
მოგების გადასახადი		(18,376)	-
საანგარიშო პერიოდი წმინდა მოგება-ზარალი		237,717	227,211

ხელმძღვანელობის სახელით:

ოთარ თედორაძე
დირექტორი

დიანა თედორაძე
მთ. ბუღალტერი

2024 წლის 12 დეკემბერი
ბათუმი, საქართველო

10-18 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31.12.2023 წ	31.12.2022 წ
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ფიქსირებული აქტივების ხარჯები	9	881,163	762,833
ორიგინალური აქტივების ხარჯები	10	-	-
ორიგინალიზაცია	9	-	-
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	9	-	-
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		881,163	762,833
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	11	14,033	969
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	183,592	338,893
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	13	257,063	173,241
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
მთლიანი მიმდინარე აქტივები		454,688	513,103
სულ აქტივები		1,335,851	1,275,936
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	48,951	76,219
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-	14,768
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		48,951	90,987
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები	16	-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება		241,629	274,966
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		241,629	274,966
მთლიანი ვალდებულებები		290,580	365,953
კაპიტალი	14		
საწესდებო კაპიტალი			-
რეზერვები			
გაუნაწილებელი მოგება		1,045,271	909,983
დაუფარავი ზარალი			
მთლიანი კაპიტალი		1,045,271	909,983
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		1,335,851	1,275,936

ხელმძღვანელობის სახელით:

ოთარ თედორაძე
დირექტორი

დიანა თედორაძე
მთ. ბუღალტერი

2024 წლის 12 დეკემბერი
ბათუმი, საქართველო

10-18 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს თემო (ს.კ.: 448396316)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალი	რეზერვები და დაფინანსება	სულ
01.01.2022	682,772	-	-	-	682,772
გაცემული დივიდენდი		-			-
მოგება წლის განმავლობაში		227,211	-		227,211
საწესდებო კაპიტალი	-				-
01.01.2023	682,772	227,211	-	-	909,983
გაცემული დივიდენდი		(104,130)	-		(104,130)
მოგება წლის განმავლობაში		-	237,717		237,717
საწესდებო კაპიტალი	1,701				1,701
31.12.2023	684,473	123,081	237,717	-	1,045,271

ხელმძღვანელობის სახელით:

ოთარ თედორაძე
დირექტორი

დიანა თედორაძე
მთ. ბუღალტერი

2024 წლის 12 დეკემბერი
ბათუმი, საქართველო

10-18 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს თემო (ს.კ.: 448396316)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	31.12.2023	31.12.2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები	2,511,178	2,224,250
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(1,646,190)	(1,665,810)
დივიდენდი	(98,924)	
საბანკო ხარჯი	(5,116)	(4,067)
ხაზინა	(48,690)	(45,630)
ხაზინიდან დაბრუნება	119,182	
მივლინება	(341,510)	(349,960)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული - ხელფასი	(354,802)	(194,700)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	135,128	(35,917)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა		
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		
სესხის გაცემა		
სესხის ძირის დაბრუნება		
მიღებული პროცენტი		
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა		
წმინდა ფულადი სახსრები		
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	105,141	143,626
გადახდილი სესხები	(133,769)	(96,936)
კაპიტალის შევსება		
გადახდილი პროცენტი	(23,831)	(20,750)
სხვა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	1,737	5,879
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(584)	(134)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა	(51,306)	31,685
ფულადი სახსრები		
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	83,822	(4,232)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	173,241	177,473
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	257,063	173,241

ხელმძღვანელობის სახელით:

ოთარ თედორაძე
დირექტორი

დიანა თედორაძე
მთ. ბუღალტერი

2024 წლის 12 დეკემბერი
ბათუმი, საქართველო

შპს თემო (ს.კ.: 448396316)

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს თემო რეგისტრირებულია 2015 წლის 10 მარტს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 448396316. იურიდიული მისამართია საქართველო, ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი ჯოჭო

საწარმოს დამფუძნებელი და წილის მფლობელია: ოთარ თედორაძე, პირადი ნომერი: 61006003637. ნომინალური წილი 100%

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა გადაზიდვების მომსახურება.

საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2023 წლის 01 იანვრიდან დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ხელმძღვანელობის სახელით:

ოთარ თედორაძე
დირექტორი

დიანა თედორაძე
მთ. ბუღალტერი

2024 წლის 12 დეკემბერი
ბათუმი, საქართველო

10-18 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ხელმძღვანელობის სახელით:

ოთარ თედორაძე
დირექტორი

დიანა თედორაძე
მთ. ბუღალტერი

2024 წლის 12 დეკემბერი
ბათუმი, საქართველო

**ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)**

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა დანადგარები	5-8 წელი
ავეჯი და სამშენებლო ელექტრო ინტრუმენტები	5-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ თანხის საუკეთესო შეფასებით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა (თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ანარიცხების დაკორექტირება, რათა მათში ასახული იყოს იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასება, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით. ანარიცხების აღიარების და კორექტირების თანხა აისახება მოგებაში ან ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციები განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც

ხელმძღვანელობის სახელით:

ოთარ თედორაძე
დირექტორი

დიანა თედორაძე
მთ. ბუღალტერი

2024 წლის 12 დეკემბერი
ბათუმი, საქართველო

**ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)**

ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამომანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. პირობითი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და ხელმძღვანელობის სახელით:

ოთარ თედორაძე
დირექტორი

დიანა თედორაძე
მთ. ბუღალტერი

2024 წლის 12 დეკემბერი
ბათუმი, საქართველო

**ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)**

წარმომადგენლობით დაწახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შედგავიან საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც, გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები ყველა გადასახადისთვის (მოგების გადასახადის ჩათვლით) და გადასახადების ყველა გადახდა აღირიცხება კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშზე. ამის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარდგენილია წმინდა საფუძველზე. მოგების გადასახადის და ვალდებულებების შედეგობრივი ნაშთები ანგარიშში შეტანილია, როგორც «სხვა საგადასახადო დავალიანებები, წმინდა» ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება.

ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არა არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები მოცემულია მე-15 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარწმინდილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ კომპანიას. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

ხელმძღვანელობის სახელით:

ოთარ თედორაძე
დირექტორი

დიანა თედორაძე
მთ. ბუღალტერი

2024 წლის 12 დეკემბერი
ბათუმი, საქართველო

შპს თემო (ს.კ.: 448396316)

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 5. ამონაგები

დასახელება	31.12.2023	31.12.2022
საერთაშორისო გადაზიდვების მომსახურების გაწევიდან	2,183,794	-
მომსახურების გაწევიდან	145,739	2,247,588
ჯამი	2,329,533	-

შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები

დასახელება	31.12.2023	31.12.2022
მიწის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	-	-
ბანკიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი	-	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	144,022	52,559
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი	2,742	-
ჯამი	146,764	52,559

შენიშვნა 7. სხვა ხარჯები

დასახელება	31.12.2023	31.12.2022
ტრანსპორტირების და პარკირების ხარჯი	(86,888)	(72,083)
ავტომობილის საექსპლუატაციო ხარჯი	(126,091)	(130,147.00)
ნებართვა სერთიფიკატი	(70,298)	(56,909.00)
ქონების გადასახადის ხარჯი (მათ შორის მიწა)	(7,590)	(6,783.00)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(6,505.00)	(6,276.00)
აუდიტორული მომსახურება	(6,780.00)	(2,000.00)
საწვავის ხარჯი	(605,436.00)	(855,314.00)
ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ხარჯი	(169,433.00)	(144,718.00)
ჯარიმა საურავი	(69,388.00)	-
სხვადასხვა ხარჯი	(5,811.00)	(71,573.00)
კომუნიკაციის ხარჯი	(381)	(379.00)
მივლინების ხარჯი	(341,510)	(349,960)
ჯამი	(1,496,111)	(1,696,142)

ხელმძღვანელობის სახელით:

ოთარ თედორაძე
დირექტორი

დიანა თედორაძე
მთ. ბუღალტერი

2024 წლის 12 დეკემბერი
ბათუმი, საქართველო

10-18 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 8. ფინანსური ხარჯები		
დასახელება	31.12.2023	31.12.2022
რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები		
საპროცენტო ხარჯები	(23,830)	(20,750)
ზარალი რეალური ღირებულების ცვლილებიდან ზარალი ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების ცვლილებიდან		
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ხარჯები%საკომისიო		
საპროცენტო ხარჯები ფინანსური ვალდებულებიდან, რომლებიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით		
მ.შ, უცხოური ვალუტაში აღებული სესხების საპროცენტო დანახარჯების მაკორექტირებელი საკუროსო სხვაობა		
ჯამი	(23,830)	(20,750)
მოგების გადასახადი	-	-
განაწილებული მოგება	-	-

ხელმძღვანელობის სახელით:

ოთარ თედორაძე
დირექტორი

დიანა თედორაძე
მთ. ბუღალტერი

2024 წლის 12 დეკემბერი
ბათუმი, საქართველო

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

შენიშვნა 9. ძირითადი საშუალებები

ობიექტის დასახელება შემენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2023	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2022
მიწის ნაკვეთები	-	-	-	-
დაუმთავრებელი მშენებლობა	-	-	-	-
შენობები	-	-	-	-
ნაგებობები	-	-	-	-
სატრანსპორტო საშუალებები (მანქანები)	1,026,245	370,996	107,584	762,833
ელექტროძრავები და დიზელ გენერატორები	-	-	-	-
ოფისის აღჭურვილობა	-	-	-	-
ავეჯი და სხვა ინვენტარი	-	-	-	-
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	-	-	-
ჯამი	1,026,245	370,996	107,584	762,833

ცვეთა	31.12.2023	ცვეთის ჩამოწერა	ცვეთის დარიცხვა	31.12.2022
მიწის ნაკვეთი	-	-	-	-
შენობის ცვეთა	-	-	-	-
ნაგებობების ცვეთა	-	-	-	-
სატრანსპორტო საშუალებები (მანქანები) ცვეთა	(145,082)	-	(35,468)	(109,614)
ელექტროძრავები და დიზელ გენერატორები ცვეთა	-	-	-	-
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	-	-	-	-
ავეჯი და სხვა ინვენტარის ცვეთა	-	-	-	-
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ცვეთა	-	-	-	-
ჯამი	(145,082)	-	(35,468)	(109,614)
საბალანსო ღირებულება	881,163			653,219

გრძელვადიანი ინვესტიციები	31.12.2023	31.12.2022
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	-	-

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შემენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი)

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რიის ვალდებულებაც საწარმომ აიღო შემენის მომენტში ან შემდეგში.

ხელმძღვანელობის სახელით:

ოთარ თედორაძე
 დირექტორი

დიანა თედორაძე
 მთ. ბუღალტერი

2024 წლის 12 დეკემბერი
 ბათუმი, საქართველო

შპს თემო (ს.კ.: 448396316)

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 10. არამატერიალური აქტივები

ობიექტის დასახელება შემენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2023	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2022
არამატერიალური აქტივები (პროგრამული უზრუნველყოფა)	-	-	-	-
ჯამი	-	-	-	-
ცვეთა	31.12.2023	ცვეთის ჩამოწერა	ცვეთის დარიცხვა	31.12.2022
არამატერიალური აქტივები (პროგრამული უზრუნველყოფა)	-	-	-	-
ჯამი	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება	-	-	-	-

შენიშვნა 11. მარაგები

დასახელება	31.12.2023	31.12.2022
საქონელი	14,033	969
ნედლეული და მასალები	-	-
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	-	-
სხვა სასაქონლო მარაგები	-	-
ჯამი	14,033.00	969.00
